

იაცეკ ბიალასი (Jacek Białas), კაროლინა რუსილოვიჩი (Karolina Rusiłowicz)
მაია ტობიაში (Maja Tobiasz), დანიელ ვიტკო (Daniel Witko)



ნებაყოფლობითი დაბრუნება

ცნობარი ნებაყოფლობითი დაბრუნების
მსურველი მიგრანტებისთვის

HR HELSINSKA FUNDACJA
PRAW CZŁOWIEKA

იაცეკ ბიალასი (Jacek Białas)
კაროლინა რუსილოვიჩი (Karolina Rusiłowicz)
მაია ტობიაში (Maja Tobiasz)
დანიელ ვიტკო (Daniel Witko)

ნებაყოფლობითი დაბრუნება
- ცნობარი ნებაყოფლობითი დაბრუნების
მსურველი მიგრანტებისთვის

ვარშავა 2013

 HELSINSKA FUNDACJA
PRAW CZŁOWIEKA

ნებაყოფლობითი დაბრუნება- ცნობარი ნებაყოფლობითი დაბრუნების მსურველი მიგრანტებისთვის

იაცეკ ბიალასი (Jacek Białas)

კაროლინა რუსილოვიჩი (Karolina Rusiłowicz)

მაია ტობიაში (Maja Tobiasz)

დანიელ ვიტკო (Daniel Witko)

წინამდებარე პუბლიკაცია განხორციელდა ევროკომისიის მიგრანტების დაბრუნების ევროპული ფონდის ფარგლებში და სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერით.

ტექსტის სისწორეზე პასუხისმგებელია ცნობარის ავტორი.

ევროკომისია პასუხისმგებელი არაა თუ როგორ და რა მიზნით იქნება

გამოყენებული ცნობარში განთავსებული ინფორმაცია.

გამომცემელი:

ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდი

ზგოდას ქ. 11, 00-018 ვარშავა / ul. Zgoda 11, 00-018 Warszawa

ტელ.:(22) 556 44 40, ფაქსი: (22) 556 44 50

www.hfhr.pl

ISBN 978-83-62245-16-1

ყდის პროექტი: Kolektyw Wizualny / www.kolektywwizualny.pl

რედაქტირება და კორექტირება: Ewa Ostaszewska-Żuk

აკრეფვა და დაკაბადონება: Kolektyw Wizualny / www.kolektywwizualny.pl

ბეჭვდა: Duchno Teresa Duchnowska

ვარშავა 2013



UNIA EUROPEJSKA
EUROPEJSKI FUNDUSZ
POWROTÓW IMIGRANTÓW

**HR HELSINKA FUNDACJA
PRAW CZŁOWIEKA**

 **OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**

სარჩევი

1. რა არის ნებაყოფლობითი დაბრუნება?

6

1. ნებაყოფლობითი დაბრუნების სახეობები და ორგანიზაციები:
2. დაბრუნების ორგანიზება UDSC-ს მმართველის მიერ
3. IOM-ის დახმარება

2. პოლონეთში უნებართვოდ ცხოვრება - რა გემუქრებათ და რა უფლებები გაქვთ?

12

1. ლტოლვილთა ბანაკში და დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში ყოფნა.
2. ლტოლვილთა თავშესაფარში მოთავსება.
3. პატიმრობაში ყოფნა დეპორტაციის მიზნით.

3. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს დაბრუნებას?

1. შემოსვლის აკრძალვა.
2. ნებაყოფლობითი დაბრუნების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემოსვლის აკრძალვის გაუქმება.
3. იძულებითი დაბრუნების შემთხვევაში შემოსვლის აკრძალვის გაუქმება
4. შემოსვლის აკრძალვის პერიოდში ლტოლვილის სტატუსის ხელმეორედ მიღება.

ორგანიზაციათა და დაწესებულებებთა სია, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ:

1

რა არის ნებაყოფლობითი დაბრუნება?

- 1 ნებაყოფლობითი დაბრუნების სახეობები და ორგანიზაციები
- 2 დაბრუნების ორგანიზება UDSC-ს მმართველის მიერ
- 3 IOM-ის დახმარება



ნებაყოფლობითი დაბრუნება არის ისეთი სიტუაცია, როცა გასურთ პოლონეთის დატოვება და გამგზავრება:

- ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობა გაგაჩნიათ, ან
- ქვეყანაში, სადაც პოლონეთში ჩამოსვლამდე ცხოვრობდით - იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობა გაგაჩნიათ დაბრუნება შეუძლებელია ან მოქალაქეობის არმქონე პირი ბრძანდებით, ან
- ქვეყანაში, რომელიც თანახმაა ან ვალდებულია მიგიღოთ;

დაბრუნების გადაწყვეტილება უნდა იყოს ნებაყოფილობითი, ყოველივე იძულებისა და ზეგავლენის გარეშე. დაბრუნების პირობების და ქვეყანაში არსებული ვითარების დაწვრილებითი და სწორი ინფორმაციის მიღების შემდგომ.

ნებაყოფლობითი დაბრუნების სახეობები და ორგანიზაციები:

ნებაყოფლობითი დაბრუნების განმანხორციელებელი ორგანოები არიან:

- უცხოელ მოქალაქეთა საქმეთა დეპარტამენტის უფროსი (Szef Urzędu do Spraw Cudzoziemców (UDSC-ს მმართველი)) ან
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამის ფარგლებში

2 დაბრუნების ორგანიზება UDSC-ს მმართველის მიერ

როცა განცხადება გაქვთ შეტანილი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე და თქვენს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებას გადაწყვეტთ, მაშინ წერილობით უნდა შეატყობინოთ UDSC-ს მმართველს ამის თაობაზე. განცხადება შეტანილი უნდა იქნას არაუგვიანეს იმ ვადისა, სადაც მითითებულია პოლონეთის დატოვების თარიღი, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის შემთხვევაში. ნებაყოფლობითი დაბრუნების დახმარება მოიცავს შემდეგი დანახარჯების დაფარვას :

- აგინაზღაურდებათ სამგზავრო ხარჯები იმ ქვეყნამდე, სადაც თქვენ დაბრუნებას აპირებთ და გაგაჩნიათ ცხოვრების უფლება.
- ვიზების და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.
- კვების ხარჯები მოგზაურობისას



ყურადღება: მას შემდეგ, რაც UDSC-ს მმართველის სახელზე გააგზავნით შეტყობინებას ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, თქვენ გეკუთვნით სოციალური დახმარება და სამედიცინო მომსახურება, ისევე როგორც ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების დროს.

3



IOM-ის დახმარება

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის დახმარების პროგრამა, რემელსაც ახორციელებს IOM-ის ვარშავის ბიურო, მოიცავს:

- კონსულტაციებს დაბრუნების შესახებ, მათ შორის დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე;
- საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას სამგზავრო დოკუმენტების მოპოვებაში;
- საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო გამოკვლევას;
- დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის ორგანიზაციას;
- რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რომელიც IOM-ის დახმარების პროგრამის

მნიშვნელოვანი ელემენტია და არ განხორციელდება უცხოელ მოქალაქეთა საკითხთა დეპარტამენტის მმართველის (UDSC-ს მმართველის) მიერ გატარებული ნებაყოფლობითი დაბრუნების შემთხვევაში.

რეინტეგრაციაში დახმარების მეშვეობით, თქვენს სახელმწიფოში დაბრუნებისას, შეგიძლიათ მიიღოთ პირველ დღეებში ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფი თანხა.

გარდა ამისა, შეგიძლიათ დაფინანსდეთ მეტი თანხით, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, მაგალითად: ბოზნესის წამოწყების ან განვითარებისთვის, გადამზადების კურსების გასავლელად და სუბსიდირებული დასაქმებისთვის. ასეთი დახმარება გეძლევათ თვენს მიერ შემუშავებული და IOM-ის მიერ დამტკიცებული დახმარების გეგმის საფუძველზე. დახმარებას მატერიალური ფორმა აქვს და ხორციელდება IOM-ის ბიუროს მიერ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობა გააგაჩნიათ.

არსებობს კიდევ ერთი ინდივიდუალური რეინტეგრაციის დახმარების სახეობა, რომელიც მოიცავს უპატრონო ბავშვებს, პირებს, რომელთაც მკურნალობა ესაჭიროებათ, ტრეფიკინგის მსხვერპლებს და სხვა პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალური მომსახურება.

ნებაყოფლობითი დაბრუნების დახმარებით შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგმა პირებმა:

- მათ ვინც მიმართეს პოლონეთს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თხოვნით და შეწყვიტეს საქმის წარმოება ან უარყოფითი პასუხი მიიღეს;
- არ გააჩნიათ პოლონეთში ცხოვრების კანონიერი ნებართვა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან.

ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ თუ არა IOM -ის დახმარებით სარგებლობა, მიმართეთ IOM-ში ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხებზე მომუშავე კონსულტანტს:

IOM მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
(Międzynarodowa Organizacja ds. Migracji), მარიენშტატის ქ. №8, 00-302 ვარშავა /
ul. Mariensztat 8, 00-302 Warszawa, ტელ.: (+48 22) 5389186, ფაქსი: (+48 22) 5389185,
ელ-ფოსტა: iomwarsawavr@iom.int (+48 22) 5389187, (+48 22) 5389212


თუ ხართ დაინტერესებული ნებაყოფლობითი დაბრუნებით თქვენ გმართებთ შეავსოთ სამგვერდიანი განცხადება. ეს შეგიძლიათ გააკეთოთ შემდეგნაირად:

- პირადად მიხვიდეთ ნებაყოფლობითი დაბრუნების საკონსულტაციო ბიუროში,
- შეხვიდეთ ინტერნეტ გვერდზე www.iom.pl და ჩანართში „Dobrowolne powroty” შეავსოთ შესაბამისი ფორმულაჟი.
- ანდა თქვენს მიერ შევსებული განცხადება გააგზავნოთ ფაქსით.

2

პოლონეთში უნებართვოდ ცხოვრება - რა გემუქრებათ და რა უფლებები გაქვთ?

- 1 ლტოლვილთა ბანაკში და დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში ყოფნა.
- 2 ლტოლვილთა თავშესაფარში მოთავსება.
- 3 პატიმრობაში ყოფნა დეპორტაციის მიზნით.



თუ თქვენ აღმოჩნდებით პოლონეთში საბუთის (ვიზა, ნებართვა) გარეშე, მაშინ შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენ დატოვოთ თუ არა ქვეყანა. ქვეყნის დატოვებამდე თქვენ:

- ვალდებული ხართ აცნობოთ შესაბამის ორგანოებს და დარჩეთ ერთ განსაზღვრულ ადგილზე,
- ან მოთავსებული იქნებით ლტოლვილთა თავშესაფარში ან
- აგიყვანენ პატიმრობაში რათა მოახდინონ თქვენი დეპორტაცია.

ამჟამანდელი პოლონური კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი ტიპის გადაწყვეტილებას:

- გადაწყვეტილება ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შესახებ და
- გადაწყვეტილება დეპორტაციის შესახებ.

თქვენს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ 14 დღის განმავლობაში. გასაჩივრება უნდა მოახდინოთ იმ ორგანოს შუამდგომლობით, რომელმაც თქვენს მიმართ გადაწყვეტილება მიიღო.

შენიშვნა: თუ პოლონეთში ცხოვრობენ თქვენი ოჯახის წევრები (ქმარი/ცოლი, საქმრო/საცოლე, შვილები), მაშინ აცნობეთ შესაბამისს ორგანოებს. ისინი ვალდებული არიან ამ ფაქტს ანგარიში გაუწიონ. დეპორტაციის შედეგად თუ დაირღვევა თქვენი ოჯახური ცხოვრების ან პირადი უფლება, მაშინ დეპორტაცია არ უნდა განხორციელდეს. ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა თქვენი შემდგომი პოლონეთში ცხოვრება, საფრთხეს არ შეუქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

შენიშვნა: გახსოვდეთ, რომ ისე როგორც პოლონეთის დატოვების დაგაწყვეტილების მიღებისას, ასევე პოლონეთიდან გაძევებისას უფლება გაქვთ შეიტანოთ განცხადება გადაწყვეტილების გადათარგმნის მოთხოვნით, გადაწყვეტილების გამცემ ორგანოში. მაშინ ორგანო წერილობით გადათარგმნის თქვენთვის გასაგებ ენაზე გადაწყვეტილების იურიდიულ საფუძველს, მის შინაარსსა და ახსნას თუ როგორ გაასაჩივროთ მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. ოღონდ გახსოვდეთ, რომ გასაჩივრების ვადა აითვლება პოლონურ ენაზე გადაწყვეტილების მიღებიდან.

შენიშვნა: თუ პოლონეთში მიმდინარეობს რაიმე პროცესი, რომლის დროსაც თქვენი ყოფნა ქვეყანაში აუცილებელია (მაგ. განქორწინება), მაშინ შეგიძლიათ შეიტანოთ განცხადება პოლონეთის ნებაყოფლობით დატოვების თარიღის

გადავადების შესახებ. ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად გაგრძელებული იქნეს ერთი წლით.

1

ლტოლვილთა ბანაკში და დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში ყოფნა.

გახსოვდეთ, რომ უნებართვოდ ყოფნის შემთხვევაში, შეიძლება დაპატიმრებული იქნეთ პოლიციის ან სასაზღვრო დაცვის მიერ 48 საათით. ამ შემთხვევაში ეს სამსახურები გადაწყვეტენ დაგტოვონ ლტოლვილთა ბანაკში თუ აგიყვანონ პატიმრობაში დეპორტაციის მიზნით. სასამართლომ ამის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში.

2

ლტოლვილთა თავშესაფარში მოთავსება.

ლტოლვილთა თავშესაფარში შეიძლება იქნეთ მოთავსებული, თუ:

- თქვენ მიიღეთ პოლონეთის დატოვების გადაწყვეტილება თარიღის მითითების გარეშე.

- არ დატოვეთ პოლონეთი ადრე მითითებულ ვადაში.
- აღმრულია პროცედურა თქვენი დეპორტაციის შესახებ, მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს გაქცევის საშიშროება.

3

პატიმრობაში ყოფნა დეპორტაციის მიზნით.

დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში შეიძლება მოხვდეთ, თუ არსებობს საშიშროება, რომ არ დაემორჩილებით ლტოლვილთა ბანაკში არსებულ წესებს და შეზღუდვებს. პატიმრობაში ან ლტოლვილთა ბანაკში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო ღებულობს. პატიმრობაში ან ლტოლვილთა ბანაკში მოთავსების ვადა განისაზღვრება 90 დღით და ეს ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნეს რამდენიმეჯერ. პატიმრობაში მოთავსების მაქსიმალური ვადა ერთი წელია.



შენიშვნა: სასამართლოს დადგენილება დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში ყოფნის ან ლტოლვილთა ბანაკში მოთავსების შესახებ შეიძლება გასაჩივრებელი იქნეს სასამართლოს წესით. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღეში. საჩივარი იწერება პოლონურ ენაზე.

ამ ბროშურის ბოლოში მოცემულია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართები, რომლებიც სამართლებრივად ეხმარებიან უცხოელებს. მაშინვე დაუკავშირდით ამ ორგანიზაციის წარმომადგენელს, როგორც კი თქვენი დამცველი დაგიწერთ გასაჩივრების აქტს.




ყურადღება: სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს დეპორტაციის მიზნით პატიმრობაში ყოფნის ან ლტოლვილთა ბანაკში მოთავსების დადგენილება, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის თქვენს ჯანმრთელობას ან/და უსაფრთხოებას. ან კიდევ თუ კი ადრე ცდილობდით ლტოლვილის სტატუსის მიღებას და ამ დროს იყავით ძალადობის მსხვერპლი ან მიიღეთ რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტრავმა, მაშინ შეგიძლიათ მოითხოვოთ პატიმრობიდან განთავისუფლება.

3

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს დაბრუნებას?

- 1 შემოსვლის აკრძალვა.
- 2 ნებაყოფლობითი დაბრუნების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემოსვლის აკრძალვის გაუქმება.
- 3 იძულებითი დაბრუნების შემთხვევაში შემოსვლის აკრძალვის გაუქმება.
- 4 შემოსვლის აკრძალვის პერიოდში ლტოლვილის სტატუსის ხელმეორედ მიღება.



1 >> შემოსვლის აკრძალვა

თქვენს ქვეყანაში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღება გიკრძალავთ გარკვეული დროით პოლონეთში და შენგენის ქვეყნებში ხელმეორედ დაბრუნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, თქვენ ვერ მიიღებთ ვერც ვიზას და ვერც ვერანაირ ნებართვას პოლონეთში და შენგენის ქვეყნებში შესვლაზე. ვადა, რომელიც გიკრძალავთ შენგენის ქვეყნებში შესვლას დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის გაქვთ მიღებული შესვლის აკრძალვა.

ხელმეორედ შესვლის აკრძალვის დრო 6 თვიდან 3 წლამდე განისაზღვრება მაშინ, როცა პოლონეთში იმყოფებოდით ვიზის გარეშე, ან არალეგალურად გადაკვეთეთ საზღვარი, ან არ გაგაჩნდათ პოლონეთში ცხოვრებისთვის საჭირო სახსრები, ან გადააცილეთ ქვეყანაში თავისუფლად ყოფნის 3-თვიან ვადას.

თუ პოლონეთში მუშაობდით არალეგალურად ან ეწეოდით არაკანონიერ საქმიანობას, ან არღვევდით ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო კანონმდებლობას, მაშინ შემოსვლის აკრძალვის ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ წლამდე.

შემოსვლის აკრძალვის ვადა სამიდან ხუთ წლამდე განისაზღვრება მაშინ, როცა თქვენი მონაცემები აღმოჩნდება პოლონეთისთვის არასასურველ პირთა სიაში ან შენგენის მონაცემთა ბაზაში (SIS), ან კიდევ ჩადენილი გაქვთ რაიმე სახის დანაშაული, ან ხართ მსჯავრდებული და მოსჯილი გაქვთ თავისუფლების აღკვეთა, ანდა დაარღვიეთ შემოსვლის აკრძალვის კანონი.

შემოსვლის აკრძალვის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება ხუთი წლით მაშინ, როცა თქვენ წარმოადგენთ ქვეყნის უშიშროებისათვის და პოლონეთის მოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის საშიშ პიროვნებას.

2 ნებაყოფლობითი დაბრუნების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემოსვლის აკრძალვის გაუქმება.

გახსოვდეთ, რომ ნებაყოფლობითი დაბრუნების გამოყენების შემთხვევაში დაწეროთ განცხადება და გააუქმოთ შემოსვლის აკრძალვა. დასკვნაში უნდა ჩაწეროთ, რომ დატოვებთ პოლონეთი ნებაყოფლობითი დაბრუნების მოთხოვნის გადაწყვეტილებაში მითითებულ თარიღამდე, ხოლო თქვენი დაბრუნება პოლონეთში ან შენგენის ქვეყნებში განპირობებული უნდა იყოს საფუძვლიანი არგუმენტებით,

განსაკუთრებით ჰუმანიტარული მიზნებით.



იძულებითი დაბრუნების შემთხვევაში შემოსვლის აკრძალვის გაუქმება

თუ არ გამოგიყენებიათ ნებაყოფლობითი დაბრუნება და იყავით ქვეყნიდან გაძევებული, მაშინ თქვენს მიმართ გამოტანილი ხელახლა შემოსვლის აკრძალვის განაჩენის გაუქმება შესაძლებელია თუ თქვენს მიერ დაფარული იქნება გაძევების ყველა ხარჯი.

უცხოელის გაძევების ხარჯებში შედის:

- დეპორტაციის გადაწყვეტილება.
- თითის ანაბეჭდების და ფოტო სურათების დამზადების ხარჯები.
- ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ლტოლვილთა ბანაკში ყოფნასთან და პატიმრობასთან.

- სამედიცინო გამოკვლევებთან დაკავშირებული ხარჯები.
- დეპორტაციის დროს ქვეყნის საზღვართან, ან აეროპორტში, ან გემზე მიყვანის ხარჯები.

4 >> შემოსვლის აკრძალვის პერიოდში ლტოლვილის სტატუსის ხელმეორედ მიღება.

გახსოვდეთ, რომ თუ დაბრუნდებით პოლონეთში, რომ ხელმეორედ მიიღოთ ლტოლვილის სტატუსი, მაშინ როცა თქვენს მიმართ გატარდა სასჯელის ზომა, რომელიც გიკრძალავთ უკან დაბრუნებას, მაშინ შესაძლებელია დაპატიმრებული იქნეთ საზღვარზე და მოგათავსონ ლტოლვილთა ბანაკში, ან მოგათავსონ საპატიმროში დეპორტაციის მიზნით.

ორგანიზაციათა და დაწესებულებებთა სია, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ:

- ომბუდსმენის ბიურო
Biuro Rzecznika Praw
Obywatelskich
Aleja Solidarności 77,
00-090 Warszawa
Tel: (+48 22) 55 17 700
E-mail: rzecznik@rpo.gov.pl
www.rpo.gov.pl
- IOM მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია -
IOM Międzynarodowa Organizacja
do Spraw Migracji
ul. Mariensztat 8, 00-302 Warszawa
Tel: (+48 22) 538 91 69
E-mail: iomwarsaw@iom.int,
www.iom.pl
- ბავშვთა უფლებების დაცვის ბიურო -
Biuro Rzecznika Praw Dziecka
ul. Przemysłowa 30/32,
00-450 Warszawa
Tel: (+48 22) 696 55 45
E-mail: rpd@brpd.gov.pl
www.rpd.gov.pl,
- ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდი -
Helsinki Fundacja Praw Człowieka
ul. Zgoda 11, 00-018 Warszawa
Tel: (+48 22) 556 44 40, (+48 22) 556 44 66
E-mail: hfhr@hfhr.org.pl,
refugees@hfhr.org.pl, www.hfhr.pl,
<http://programy.hfhr.pl/uchodzczy/>

- იურიდიული ინტერვენციის ასოციაცია -
Stowarzyszenie Interwencji Prawnej
ul. Siedmiogrodzka 5/51
01-204 Warszawa
(+48 22) 621-51-65
E-mail:
interwencja@interwencjaprawna.pl
www.interwencjaprawna.pl
- ჰალინა ნიეჩის სახელობის იურიდიული
დახმარების ფონდი - Centrum Pomocy
Prawnej im. Haliny Nieć
ul. Krowoderska 11/7
31-141 Kraków
Tel: (+48 12) 633 72 23
E-mail: biuro@pomocprawna.org
- სამართლიანი სახემწიფოს ინსტიტუტი -
Instytut na rzecz Państwa Prawa
ul. F. Chopina 14/70

20-023 Lublin
Tel: (+48 81) 743 68 05
E-mail: fundacja@fipp.org.pl
www.fipp.org.pl

- კარიტასი „Caritas”
ul. Skwer Kard. Stefana Wyszyńskiego 9
01-015 Warszawa
Tel: (+48 22) 334 85 00
E-mail: Caritas@caritas.pl
www.caritas.pl

- ფონდი „ოცალენიე“
Fundacja „Ocalenie”
ul. Ordynacka 9 / 21 (II piętro)
00-384 Warszawa
Tel: (+48 22) 828 50 54,
E-mail: fundacja@ocalenie.org.pl,
www.ocalenie.org.pl

ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდი პოლონეთში, სათავე ოფისით ვარშავაში, დაფუძნებული იქნა 1989 წელს. პოლონეთში ფონდის შექმნას წინ უძღვა ჰელსინკის ფონდის შვიდ-წლიანი იაკაკვეშური მოღვაწეობა. 1989 წელში პოლონეთში პოლიტიკური წყობის შეცვლის შემდგომ კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს გამოაშკარავება და დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნა, რომელიც განათლების და ადამიანთა უფლებების შესწავლით იქნებოდა დაკავებული. რადგან მაშინდელი კანონი ნებას არ რთავდა დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნას, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფონდის დაფუძნებაზე, რომელიც შეასრულებდა იგივე როლს. ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და პროფესიონალურად მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვით არის დაკავებული. 2007 წელს ფონდს მიენიჭა გაეროს ეკონომიკური და სოციალურ საბჭოს კონსულტანტის სტატუსი (ECOSOC).

2012 წლის ივლისიდან ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდი ანხორციელებს პროექტს: „დაბრუნებები. იურიდიული დახმარება და ინფორმაცია დამბრუნებელი მიგრანტებისთვის“, რომელიც გაგრძელდება 2015 წლის ივნისამდე. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს წარმოშობის ქვეყანაში დამბრუნებელი პირების უფლებების დაცვას, იურიდიული დახმარების, ინფორმაციის მიწოდების და დახურულ ცენტრებში ვიზიტების მეშვეობით. პროექტის ფარგლებში იურისტები უფასო დახმარებით


უზრუნველყოფენ ყველა იმ უცხოელს, რომელთაც :

- არ გააჩნიათ პოლონეთში ბინადრობის კანონიერი საბუთი;
- მიიღეს გადაწყვეტილება პოლონეთის ტერიტორიის დატოვებაზე ან გამეგების გადაწყვეტილება და სურთ ნებაყოფლობით დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში;
- ჯერ არ მიუღიათ უარყოფითი გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ და სურთ ნებაყოფლობით დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში;

პროექტის ფარგლებში შემუშავდა წინამდებარე ცნობარი ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ქართულ, ჩინურ, არაბულ და პოლონურ ენებზე . ხელმისაწვდომია მისი ელექტრონული ვერსია ჰელსინკის ადამიანთა უფლებების ფონდის ლტოლვილთა იურიდიული დახმარების პროგრამის ვებ-გვერდზე, ჩანართში „პუბლიკაციები“ („Publikacje“) <http://programy.hfhr.pl/uchodzczy/>

მორიგეობა დგება ფონდის მთავარ ოფისში ზგოდის ქ, № 11(ul. Zgoda 11), ოთახი 413. კონსულტაციები გაიცემა ბენეფიციენტების მოსვლის თანმიმდევრობის მიხედვით-საჭიროა თქვენი გვარის სიაში ჩაწერა, რომელსაც მორიგეობის დღეს იურისტთან იპოვით.

ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის შემდეგ ნომერზე 22 556 44 66, ფაქსით 22 556 44 51 ან ელ-ფოსტის მეშვეობით: refugees@hfhr.org.pl





This publication is co-financed by the European Union under the European Return Fund and by the state budget. The sole responsibility lies with the author. The European Commission is not responsible for any use that may be made of the information contained herein.

Warsaw 2013

HR HELSINŃSKA FUNDACJA
PRAW CZŁOWIEKA



UNIA EUROPEJSKA
EUROPEJSKI FUNDUSZ
POWROTÓW IMIGRANTÓW



**OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**